

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1 2021 წლის 28 იანვარი

ქ. ონი

„ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 დეკემბრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/12/2020, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.118.016304) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი

ბაჩანა მარკოიშვილი

დანართი

თავი I

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	12,786.4	18,341.8	12,794.8	5,547.0	13,493.2	8,341.8	5,151.4
გადასახადები	4,091.7	4,403.5	0.0	4,403.5	4,786.4	0.0	4,786.4
გრანტები	8,287.4	13,699.8	12,794.8	905.0	8,446.8	8,341.8	105.0
სხვა შემოსავლები	407.3	238.6	0.0	238.6	260.0	0.0	260.0
II. ხარჯები	3,488.3	4,573.0	265.7	4,307.3	4,870.8	278.3	4,592.5
შრომის ანაზღაურება	1,154.1	1,150.3	0.0	1,150.3	1,581.2	0.0	1,581.2
საქონელი და მომსახურება	1,227.9	1,650.2	88.9	1,561.3	1,481.7	23.7	1,458.1



პროცენტი	27.8	36.0	0.0	36.0	34.9	0.0	34.9
სუბსიდიები	761.1	764.5	0.0	764.5	1,006.3	0.0	1,006.3
გრანტები	-	3.9	-	3.9	226.8	220.8	6.0
სოციალური უზრუნველყოფა	181.8	229.5	103.4	126.1	139.2	0.0	139.2
სხვა ხარჯები	135.6	738.7	73.4	665.3	400.6	33.8	366.8
III. საოპერაციო საღდო	9,298.0	13,768.8	12,529.1	1,239.7	8,622.5	8,063.6	558.9
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	10,117.4	11,864.3	10,788.5	1,075.8	11,289.9	10,201.1	1,088.8
ზრდა	10,207.4	11,881.1	10,788.5	1,092.6	11,294.9	10,201.1	1,093.8
კლება	90.0	16.9	0.0	16.9	5.0	0.0	5.0
V. მთლიანი საღდო	-819.4	1,904.5	1,740.5	164.0	-2,667.4	-2,137.5	-529.9
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-847.2	1,848.9	1,740.5	108.4	-2,723.0	-2,137.5	-585.5
ზრდა	14.6	1,848.9	1,740.5	108.4	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	14.6	1,848.9	1,740.5	108.4	0.0	0.0	0.0
კლება	861.8	0.0	0.0	0.0	2,723.0	2,137.5	585.5
ვალუტა და დეპოზიტები	861.8	0.0	0.0	0.0	2,723.0	2,137.5	585.5
VII. ვალდებულებების ცვლილება	-27.8	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
კლება	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
საშინაო	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
სესხები	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	12,876.4	18,358.7	12,794.8	5,563.9	13,498.2	8,341.8	5,156.4
შემოსავლები	12,786.4	18,341.8	12,794.8	5,547.0	13,493.2	8,341.8	5,151.4
არაფინანსური აქტივების კლება	90.0	16.9	0.0	16.9	5.0	0.0	5.0



ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	13,723.6	16,509.7	11,054.2	5,455.5	16,221.2	10,479.3	5,741.9
ხარჯები	3,488.3	4,573.0	265.7	4,307.3	4,870.8	278.3	4,592.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	10,207.4	11,881.1	10,788.5	1,092.6	11,294.9	10,201.1	1,093.8
ვალდებულებების კლება	27.8	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
ნაშთის ცვლილება	-847.2	1,848.9	1,740.5	108.4	-2,723.0	-2,137.5	-585.5

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 13,493.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	12,786.4	18,341.8	12,794.8	5,547.0	13,493.2	8,341.8	5,151.4
გადასახადები	4,091.7	4,403.5	0.0	4,403.5	4,786.4	0.0	4,786.4
გრანტები	8,287.4	13,699.8	12,794.8	905.0	8,446.8	8,341.8	105.0
სხვა შემოსავლები	407.3	238.6	0.0	238.6	260.0	0.0	260.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 4,786.4 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	4,091.7	4,403.5	0.0	4,403.5	4,786.4	0.0	4,786.4
საშემოსავლო გადასახადი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	3,882.1	4,135.8	0.0	4,135.8	4,586.4	0.0	4,586.4
ქონების გადასახადი	209.5	267.6	0.0	267.6	200.0	0.0	200.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	186.4	224.9	0.0	224.9	192.0	0.0	192.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.3	0.2	0.0	0.2	0.0	0.0	0.0



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.5	19.0	0.0	19.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო სამეურნეო ნიშნულების მიწაზე	9.3	11.4	0.0	11.4	1.0	0.0	1.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	11.1	12.2	0.0	12.2	7.0	0.0	7.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 8,446.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	8,287.4	13,699.8	8,446.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.0	34.0	186.8
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8,287.4	13,665.8	8,260.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	186.6	455.4	122.6
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0	800.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი მათ შორის:	8,100.8	12,410.4	8,137.4
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	6,213.2	11,716.0	8,137.4
მაღალმთიანობის პროგრამა	1,224.8	0.0	0.0
მთავრობის სარეზერვო ფონდი	54.8	56.4	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	608.0	638.0	0.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 260.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	407.3	238.6	260.0
შემოსავლები საკუთრებიდან	122.7	164.7	200.0
პროცენტები	44.9	38.1	40.0
დივიდენდები	0.0	0.0	0.0
რენტა	77.9	126.6	160.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16.7	18.9	15.0



ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	16.6	18.8	15.0
სანებართვო მოსაკრებელი	7.6	14.1	5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	9.0	4.7	10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0.1	0.1	0.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	112.8	28.1	40.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	0.0	26.9	0.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	155.1	0.0	5.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 4,870.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი			2021 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,488.3	4,573.0	265.7	4,307.3	4,870.8	278.3	4,592.5
შრომის ანაზღაურება	1,154.1	1,150.3	0.0	1,150.3	1,581.2	0.0	1,581.2
საქონელი და მომსახურება	1,227.9	1,650.2	88.9	1,561.3	1,481.7	23.7	1,458.1
პროცენტები	27.8	36.0	0.0	36.0	34.9	0.0	34.9
სუბსიდიები	761.1	764.5	0.0	764.5	1,006.3	0.0	1,006.3
გრანტები	0.0	3.9	0.0	3.9	226.8	220.8	6.0
სოციალური უზრუნველყოფა	181.8	229.5	103.4	126.1	139.2	0.0	139.2
სხვა ხარჯები	135.6	738.7	73.4	665.3	400.6	33.8	366.8

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11,289.9 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 11,294.9 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 5.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	140.0	9.7	14.9
01 01	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	140.0	9.7	14.9



01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9,843.6	11,372.9	10,680.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4,686.3	4,380.5	1,674.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	138.9	1,299.3	347.2
02 03	გარე განათება	25.5	22.6	2.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	0.0	203.4	118.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,570.2	1,976.4	1,609.4
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	0.0	364.1	910.0
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	652.3	730.6	105.0
02 08	სანიღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	1,770.4	2,396.1	5,914.1
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	0.0	0.0	0.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0.0	0.0	0.0
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	215.8	495.0	600.0
04 01	სკოლამდელი განათლება	0.0	0.0	0.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	0.0	153.4	554.4
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	215.8	341.6	45.6
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	8.0	3.5	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	5.0	3.5	0.0
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	0.0	0.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10,207.4	11,881.1	11,294.9



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	90.0	16.9	5.0
ძირითადი აქტივები	41.8	16.9	0.0
მატერიალური მარაგები	11.6	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	36.6	0.0	5.0
მიწა	36.6	0.0	5.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,863.6	1,770.9	2,426.5
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,858.2	1,765.4	2,386.1
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,858.2	1,765.4	2,286.1
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	100.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	34.9
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	5.5	5.5	5.5
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,450.5	5,374.3	2,067.0
7.4.5	ტრანსპორტი	4,798.2	4,613.7	1,775.2
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,798.2	4,613.7	1,775.2
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	652.3	760.6	291.8
7.5	გარემოს დაცვა	2,095.8	2,822.4	6,367.3
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	306.0	349.5	350.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	1,786.8	2,412.9	5,957.3
7.5.3	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	3.1	60.0	60.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2,958.3	4,406.7	3,301.5
7.6.1	ბინათმშენებლობა	0.0	533.6	172.9
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2,643.2	2,365.0	2,559.4



7.6.3	წყალმომარაგება	143.4	1,299.3	347.2
7.6.4	გარე განათება	171.8	208.7	222.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	37.2	33.3	45.4
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	37.2	33.3	45.4
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	597.3	521.9	745.3
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	149.2	108.0	172.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	401.9	376.6	533.3
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	46.2	37.4	40.0
7.9	განათლება	504.7	795.2	937.6
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	209.9	389.2	868.4
7.9.2	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	294.8	406.0	69.3
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	294.8	406.0	69.3
7.10	სოციალური დაცვა	188.3	729.5	275.0
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	58.6	85.2	102.4
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	1.0	1.1	2.4
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	5.6	5.1	8.9
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	34.2	37.6	48.3
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	89.0	600.6	113.0
	ს უ ლ	13,695.8	16,454.1	16,165.6

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 2 667.4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 8 622.5 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,298.0	13,768.8	8,622.5
მთლიანი სალდო	-819.4	1,904.5	-2,667.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2 723.0 ათასი ლარით:

ათას ლარში



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-847.2	1,848.9	-2,723.0
ზრდა	14.6	1,848.9	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	14.6	1,848.9	0.0
კლება	861.8	0.0	2,723.0
ვალუტა და დეპოზიტი	861.8	0.0	2,723.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 55.6 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ონის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 397.8 ათას ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 307.3 ათასი ლარი.

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-27.8	-55.6	-55.6
კლება	27.8	55.6	55.6
საშინაო	27.8	55.6	55.6
სესხები	27.8	55.6	55.6

თავი II

ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერა

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდო 02 00)

ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,050.9 ათასი ლარით. დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	11,325.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,775.2
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	1,648.5
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	101.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	25.8



02 02	წყლის სისტემის განვითარება	347.2
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	347.2
02 02 02	წყლის სისტემების ექსპლოატაცია	-
02 03	გარე განათება	222.0
02 03 01	გარე განათება ქსელის ექსპლოატაცია	220.0
02 03 01 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	50.0
02 03 01 02	გარე განათება ელექტროენერჯის ხარჯი	170.0
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	2.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	172.9
02 04 01	საცხოვრებელი და არსაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	43.8
02 04 02	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	129.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,649.4
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	1,649.4
02 06	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	910.0
02 07	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	105.0
02 08	სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5,957.3
02 09	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	186.8

პროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 01 01		1648.5
პროგრამის განმახორციელებელი		ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტით წილობრივ დაფინანსებას სოფელ შარდომეთის 2000 მეტრი გზის მოსაფალტებას. მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება ისარგებლოს სრულყოფილად პროექტის შედეგით. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხებს.</p> <p>პროგრამა ასევე ითვალისწინებს 2020 წლის 28-29 ივლისის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული გზებისა და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.	

პროგრამის	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	2021 წლის დაფინანსება ლარებში
-----------	------	---------------------------	-------------------------------



დასახელება	02 01 02	101.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მიმდინარე და პრიოდულ შეკეთებას ქალაქის და სოფლის ზონების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდას და სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად სოფლის სრულ ტერიტორიაზე. გაიზარდოს სხვადასხვა პროგრამებით, სოციალური სერვისებით სარგებლობის ხარისხი და რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ცხოვრების ეკონომიკური დონის ამაღლებას შეუწყობს ხელს.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.	

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 01 03		25.8
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე სიჩქარის შემზღვეველი ბორცვებისა და საგზაო ნიშნების მოწყობას უსაფრთხო გადაადგილების მიზნით.</p> <p>პროგრამის მიზანია მოსახლეობა გადაადგილდეს კომფორტულად, უსაფრთხოდ და თავისუფლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 02 01		347.2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მოხდება ონის მუნიციპალიტეტში სოფლებში სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ხეითი, ზვარეთი, ახალი ჩორდი, შრომის უბანი, კვაშხეთი, შუა შქმერი სასმელი წყლის სისტემების ცენტრალური მაგისტრალი და შიდა ქსელი მოძველებულია და აღარ ექვემდებარება შეკეთებას. საჭიროა აღნიშნულ სოფლებში ჩატარდეს ცენტრალური მაგისტრალის და შიდა სასოფლო ქსელის სრული რეაბილიტაცია, რომლის დაფინანსებაც მიმდინარეობს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ასევე განხორციელდება სოფელ ზემო ბარისა და სამთისის წყალსადები სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხებს.</p> <p>ასევე პროგრამის ფარგლებში აღდგება 2020 წლის 28-29 ივლისის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სოფლებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული სასმელი წყლის სისტემა. სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ტექნიკურად სუფთა სასმელი წყლით, შეფერხებების გარეშე.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	ლარებში
			220.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 03 01	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ონში და სოფლების გარკვეულ ნაწილში, გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 80%-ს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბომბების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას (170 ათ.ლარი).</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა და გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	2021 წლის დაფინანსება ლარებში
			2.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 03 02	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ახალი გარე განათების დამატებული წერტილების აბონენტად აყვანის ხარჯი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის გარე განათების ქსელით სრულად დაფარვა.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		გარე განათებით სრულად უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორია და შექმნილი კომფორტული გარემო უსაფრთხო გადაადგილებისათვის.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში
			43.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	02 04 01	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>პროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ქონების რეაბილიტაციის ხელშეწყობას, რომლის ფარგლებშიც თანამონაწილეობის პრინციპით დაფინანსება სხვადასხვა ღონისძიებები მოსახლეობის განცხადებების და არსებული მდგომარეობის სიმძიმის გათვალისწინებით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებთან შეხვედრები მიმდინარე პროგრამების გაცნობის მიზნით. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა შეკეთების სამუშაოები.</p> <p>პროგრამის მიზანია არსებული პრობლემების გამოვლენა, მათი მოგვარებისათვის საჭირო გზებისა და მეთოდების ერთობლივად გადაწყვეტა.</p>	
მოსალოდნელი შედეგი		საცხოვრებელი კორპუსების გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა	



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარებში
	02 04 02		129.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ პიპილეთში ადმინისტრაციული შენობის და მერიის შენობის მიმდინარე რემონტი. ასევე 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული სტადიონების აღდგენა შეკეთების სამუშაოები. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხები.		
	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების გამართული ფურქცინირება.		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 05 01		1649.4
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს , აღმაშენებლის მოედნის, გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერის, მოწყობა-რეაბილიტაციას, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას კახაბერის, ვახტანგ მე-6, ბააზოვის ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მიმდინარე წელს გაგრძელდება აღნიშნული სამუშაოს III ეტაპი, რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ამადღებდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების დონე. ხელი შეეწყობა ტურიზმისა და სხვადასხვა კერძო ბიზნესის განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გაეროს განვითარების (UNDP) ფარგლებში საგარანტიო პროექტით მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობას (ღია ბაზრობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა - დახლების დამზადება მონტაჟი).		
	ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხები.		
	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქის იერსახის შეცვლა-გალამაზება, ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 06		910.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება. ასევე 2020 წლის 28-29 ივლისს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება. ქვეპროგრამის მიზანია შეიქმნას მაქსიმალურად ზუსტი და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.		
მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა.		



პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამის მხარდაჭერის	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 07		105.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით განხორციელდება დაფინანსება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. პროგრამის მიზანია გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხებისა და, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 08		5957.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები დაზიანებების გამო ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობას. უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემებმა დაუბრკოლებლად უნდა შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხები. პროგრამა ასევე ითვალისწინებს 2020 წლის 28-29 ივლისის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდა, რათა ჩამდინარე წყლების მართვა მოხდეს შეუფერხებლად.		
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვა. მოსახლეთა უსაფრთხო ცხოვრება, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	02 09		186.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ, საქართველოში იაპონიის საელჩოდან მოპოვებული გრანტით, განხორციელდება პროექტი „ონის მუნიციპალიტეტისთვის მძიმე ტექნიკის შეძენა კატასტროფებისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისათვის“, ერთი ერთეული მძიმე ტექნიკის შეძენა.		
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.		



2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 410.0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	410.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	350.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	50.0
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	10.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2021 წლის დაფინანსება ლარებში
	03 01		350.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება. ქვეპროგრამის მიზანია ნარჩენების შეგროვების ეფექტურობის გაზრდა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა, განვითარება	2020 წლის დაფინანსება ლარებში
	03 02		50.0
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ქალაქ ონში ასევე სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის და ვიზიტორების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, კარგად მოვლილი პარკებისა და სარეკრიაციო ზონების მეშვეობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.		

ქვეპროგრამის	კოდი	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება	2020 წლის დაფინანსება ლარებში



დასახელება	03 03	10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეტესწილად დარჩენილი ძალების თავშესაფარში გადაყვანა.	
მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.	

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 334.3 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის გეგმა
04 00	განათლება	937.6
04 01	სკოლამდელი განათლება	314.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	554.4
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	45.6
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	23.7

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი განათლება	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 01		314.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღმზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა- ბაღი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 130 ბავშვის სწავლებს, სოფელ გლოლაში არის სკოლამდელი განათლების ცენტრი კვებით უზრუნველყოფით, ხოლო სოფელ ღებში, უწერაში და პიპილეთში სკოლამდელი განათლების ცენტრი 3 საათიანი ფუნქციონირებით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 45 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სამღმრთელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება.</p> <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელის შეწყობა; საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესების მიზნით აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შექმნა/მონტაჟს და ავტორიზაციისათვის მომზადებას.</p>		



მოსალოდნელი შედეგი	შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები; გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი, სტანდარტების შესაბამისი კვალიფიცირებული (სერტიფიცირებული) აღმზრდელები; სტანდარტების შესაბამისი კვება, უსაფრთხო გარემო და დაცული ჰიგიენური ნორმები.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 02		554.4
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები წილობრივი თანადაფინანსებით.		
	პროგრამის მიზანია რეაბირტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღი.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საბავშვო ბაღი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 03		45.6
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული ვალდებულებების დაფინანსებას		
	პროგრამის მიზანია რეაბირტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები.		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საჯარო სკოლები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	04 04		23.7
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების გადაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. ასევე განხორციელდება 2020 წელს აღებული ვალდებულებების დასრულება.		
	პროგრამის მიზანია ყველა მოსწავლისათვის სკოლაში მისასვლელი უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.		
მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით.		

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)



კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 745.3 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2021 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	745.3
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	172.0
05 01 01	ა(ა)იპ ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	172.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	489.9
05 02 01	სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	84.4
05 02 01 01	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	42.4
05 02 01 02	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	42.0
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	150.5
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	63.0
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	73.7
05 02 05	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	36.9
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	81.4
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	43.4

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		172.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 3 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (48 ბავშვი); თავისუფალი ჭიდაობა (24 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (14 ბავშვი); კალათბურთი (19 ბავშვი) . სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 110 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 42 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება. 		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის წაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		42.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 30 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		42.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 76 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, მერწვას, თექას, ბატიკას, ფოტოხელოვნებას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას, ანიმაციას. სკოლაში სულ დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		150.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 6 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული სალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი წრე სასცენო მეტყველების შემსწავლელი. სულ წრეებში გაწევრიანებულია 220 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 43 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება. - შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება. 		



		- დაგეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა. - მოაწიოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	2021 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		63.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
